დედოფლის ტახტი ურყევია!

8,5 : 4,5

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов

გამოცემის 22-ე წელი.

№ 210 (2930) ● კვირა, 24 ოქტომბერი, 1965 წ. ● ფასი 3 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სსრ კავშირის პირველობა

ახალგაზრდობამ გაგვიმართლა

თბილისი. „დინამოს“ სტადიონი. 23 ოქტომბერი.

„დინამო“ (თბილისი) — „ტორპედო“ (მოსკოვი) 1:1 (1:0).

„დინამო“: ურუშაძე, ბ. სიჭინავა, ჭელიძე, რეხვიაშვილი, ცხოვრებოვი, ხართიშვილი, ილიადი, ხუციშვილი, ბარქაია, მაისურაძე, დათუნაშვილი.

„ტორპედო“: შაპოვალენკო, ანდრეიუკი, შუსტიკოვი, მარუშკო, სარაევი, ბრედნევი, ბატანოვი (ლინევი), მიხაილოვი, სტრელცოვი, შჩერბაკოვი, სერგეევი.

მსაჯი ნ. კრილოვი (კუიბიშევი).

ვინ იცის, როდის ჩაეყარა საფუძველი იმ დაუწერელ ტრადიციას თბილისის „დინამოსა“ და მოსკოვის „ტორპედოს“ შორის, როცა მათი მატჩები საკავშირო პირველობაზე თუ თასზე „საგანგებო კატეგორიის“ ნიშნით მიმდინარეობს. იქნებ, 1960 წლის თასის ფინალის შემდეგ? გაიხსენეთ ორივე გუნდის ბოლო წლების შეხვედრები, გაიხსენეთ, თუნდაც, წლევანდელი პირველი წრის მატჩი მოსკოვში... ერთი სიტყვით, თუ ეს გუნდები თამაშობენ — დიდი ფეხბურთი გარანტირებულია. მაგრამ მოხდა მაინცდამაინც ისე, რომ ამ ორი საინტერესო მეტოქის გუშინდელი მატჩი ჩატარდა მათი წამყვანი მოთამაშეების გარეშე. ნაკრებში გაწვეულია მოსკოველთა 3 უძლიერესი ფეხბურთელი, თბილისელებს კი ნაკრების წევრთა გარეშეც საკმაოდ აქვთ დანაკლისი: გუშინ მინდორზე იყო მხოლოდ 5 ჩემპიონი, დანარჩენები კი, ასე ვთქვათ, „არაჩემპიონები“ იყვნენ.

და აი, ამ „არაჩემპიონებმა“ ისეთი ბრძოლა შესთავაზეს წლევანდელი პირველი ადგილის კანდიდატს, ისეთი სიძლიერით და საინტერესოდ ჩაატარეს მატჩი, რომ შეგვიძლია თამამად ვთქვათ: ახალგაზრდობამ თავისი სიტყვა თქვა!

ფეხბურთი

თბილისის „დინამო“ გუშინ ძირითადი და სათადარიგო შემადგენლობების თავისებურ „კოქტეილს“ წარმოადგენდა და, მიუხედავად ამისა, მას სავსებით ჩამოყალიბებული, მონოლითური, მთლიანი ანსამბლის სახე ჰქონდა. ტორპედოელები ჯერ კიდევ პირველ წუთზე გადაურჩნენ ნაღდ გოლს ილიადის გარღვევის შემდეგ (ბურთი ძელს მოხვდა), მაგრამ სულ მცირე ხანში ხუციშვილი პირისპირ გავიდა ტორპედოელთა კართან და შესანიშნავი დარტყმით გაიტანა გოლი, რომლის წინაშე შაპოვალენკო აბსოლუტურად უძლური იყო. 1:0!

მოგებული დებიუტი ასეთ მატჩში ბევრს ნიშნავს. ამიტომ თბილისელები თამამად ათამაშდნენ. აქტიურად, მალიან ნაყოფიერად მოქმედებდნენ ნახევარმცველები — ხართიშვილი და ილიადი, რომელთა მხარდაჭერას სისტემატურად გრძნობდნენ შეტევისას ფორვარდები. სახიფათოდ გადიოდნენ ფლანგებზე ხუციშვილი და დათუნაშვილი (დასანანია მხოლოდ, რომ ჩვენმა გუნდმა ნაკლები აქცენტი გააკეთა მარცხენა ფრთაზე, სადაც დათუნაშვილი ანდრეიუკის წინააღმდეგ აკეთებდა ყველაფერს, რაც მას მოესურვებოდა). საიმედოდ იცავდა კარს ურუშაძე, მძიმე სამუშაო გადახდათ დინამოელთა სტოპერებს — ჭელიძესა და რეხვიაშვილს.

„ტორპედოს“ კართან საკმაოზე მეტი იყო სახიფათო მომენტი პირველ ტაიმშიც, მაგრამ შესვენების შემდეგ პირველი 3 წუთის განმავლობაში სტუმრები გადარჩნენ სამ მომენტს, როცა მსაჯი უკვე მზად იყო ცენტრისკენ გაეშვირა ხელი. დათუნაშვილის, მაისურაძისა და ბარქაიას გარღვევები თითქმის 100-პროცენტიან გოლს ნიშნავდა, მაგრამ ბურთი არა და არ გავიდა მეტოქის კარში, თანაც ერთხელ შაპოვალენკომ სასწაულით გადაარჩინა თავისი გუნდი...

და აი, მაშინ, როცა მეორე გოლის გატანას თითქოს მხოლოდ „ფორმალური გაფორმება“ აკლდა, მოსკოველებმა მოიგერიეს ბურთი, გაითამაშეს მოპირდაპირე საჯარიმო მოედანზე კომბინაცია და სტრელცოვმა ზუსტი, ძლიერი დარტყმით გაათანაბრა ანგარიში — 1:1.

დარჩენილ დროში მატჩი ისევე საინტერესოდ და დაძაბულად მიმდინარეობდა, როგორც მანამდე. „ტორპედოს“ საქმეები მინდვრის ცენტრში მნიშვნელოვნად გამოასწორა ლინევმა, რომელმაც შეცვალა ბატანოვი. და მაინც თამაშის სადავეები უმთავრესად დინამოელებს ეპყრათ ხელთ.

რა თქმა უნდა, ჩვენს გუნდს შეეძლო მატჩის მოგება და იგი მხოლოდ ფრეს დასჯერდა, მაგრამ ბოლოსდაბოლოს გუშინდელი თამაშის მნიშვნელობა მარტო ქულა არაა. მთავარია ის, რომ მაყურებელმა ნახა მატჩი, რომელმაც მას დიდი სპორტული და ესთეტიკური კმაყოფილება მოუტანა, ხოლო ახალგაზრდობამ კი გაგვიმართლა. ეს კი ძალზე ბევრს ნიშნავს.

ბ. ქორქია.

ს უ რ ა თ ზ ე: სსრ კავშირის ჩემპიონი მ. ხერგიანი შეჯიბრებისას.

ფოტო ვ. ქაჯაიასი.

ნონა გაფრინდაშვილი

ფოტო მ. ზარგარიანისა.

ნონა გაფრინდაშვილმა შეინარჩუნა მსოფლიოს ჩემპიონის ტიტული

რ ი გ ა, 23 ოქტომბერი (ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.). დღეს გაიმართა გაფრინდაშვილ—კუშნირის მატჩის XIII პარტია, რომელშიც შავებით თამაშობდა მსოფლიოს ჩემპიონი. მან პირველად მატჩში გამოიყენა უფიმცევის დაცვა.

პირველივე სვლებიდან დაფაზე დაძაბული ბრძოლა გაიმართა. თეთრებმა ცენტრში დატოვეს მეფე და ადრეულად დაიწყეს აქტიური ოპერაციები ლაზიერის ფრთაზე. ამან შესაძლებლობა მისცა მის მეტოქეს დაუფლებოდა ინიციატივას და ხელსაყრელი გართულებები გამოეწვია.

მართალია, პრეტენდენტმა შეძლო დაცული გამსვლელი პაიკის შექმნა, მაგრამ ამას შავებისთვის განსაკუთრებული სიძნელეები არ შეუქმნია.

პარტიის საფინალო ნაწილი ნ. გაფრინდაშვილმა ძალიან ენერგიულად ჩაატარა. მან მაქსიმალურად გააძლიერა თავისი ფიგურების პოზიცია და მოუგერიებელი შეტევა შეუქმნა მეტოქის მეფეს 45-ე სვლაზე გამოუვალი შამათის გამო პრეტენდენტმა თავი დამარცხებულად ცნო.

ამრიგად, ნონა გაფრინდაშვილმა დამაჯერებელი გამარჯვება მოიპოვა — 8,5:4,5. მან შეინარჩუნა მსოფლიოს ჩემპიონის საპატიო წოდება.

მატჩის საზეიმო დახურვა მოეწყობა ორშაბათს. ნონა დაჯილდოვდება მსოფლიო ჩემპიონის დაფნის გვირგვინით.

სახელოვანი ქართველი ქალიშვილის გამარჯვების ამბავი სწრაფად მოედო მის მშობლიურ რესპუბლიკას. და აი სასტუმრო „რიგის“ 435-ე ნომერში მოვიდა დეპეშები თბილისიდან, ქუთაისიდან, სოხუმიდან, ზუგდიდიდან, ჭიათურიდან... ნონას მხურვალედ ულოცავენ გამარჯვებას.

„ა“ ლიგა

გათამაშების ცხრილი

პირველი ჯგუფი

მდგომარეობა 24 ოქტომბრისათვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„ტორპედო“ (მოსკოვი)	27	17	7	3	42—18	41
„დინამო“ (კიევი)	26	17	6	3	46—18	40
„დინამო“ (მინსკი)	27	13	7	7	32—19	33
ცსკა	27	12	8	7	31—19	32
სკა (როსტოვი)	28	9	13	6	34—29	31
„დინამო“ (მოსკოვი)	28	9	12	7	32—24	30
„დინამო“ (თბილისი)	27	9	10	8	30—26	28
„ზენიტი“ (ლენინგრადი)	27	9	10	8	30—26	28
„სპარტაკი“ (მოსკოვი)	27	9	10	8	22—20	28
„კრ. სოვეტოვი“ (კუიბიშევი)	27	9	8	10	33—30	26
„ნეფტიანიკი“ (ბაქო)	28	10	6	12	27—31	26
„პახტაკორი“ (ტაშკენტი)	27	8	10	9	27—33	26
„ჩერნომორეცი“ (ოდესა)	28	9	7	12	33—37	25
„ლოკომოტივი“ (მოსკოვი)	29	8	8	13	37—44	24
„შახტიორი“ (დონეცკი)	26	6	11	9	23—26	23
„ტორპედო“ (ქუთაისი)	28	6	2	20	21—33	14
სკა (ოდესა)	27	2	5	20	17—54	9

გუშინ...

მოსკოვში ადგილობრივმა „სპარტაკმა“ დაამარცხა კუიბიშევის „კრილია სოვეტოვი“ — 1:0. გოლის ავტორია **ამბარცუმიანი.**

ერევანში „ა“ კლასის II ჯგუფის ლიდერმა — „არარატმა“ ფრედ ითამაშა სვერდლოვსკის „ურალმაშთან“ — 2:2.

5 : 0

სენტ-ეტიენი, 23 ოქტომბერი. გუშინ აქ სსრ კავშირის ფეხბურთელთა ნაკრებმა ამხანაგურ მატჩში დაამარცხა ადგილობრივი „სენტ-ეტიენი“ — 5:0. გოლები გაიტანეს ბანიშევსკიმ (2), მესხმა და ოსიანინმა. ერთი ბურთი საკუთარ კარში მოათავსა მცველმა ტილინსკიმ.

სპორტული საათი!

◆ მ ო ს კ ო ვ ი, 23 ოქტომბერი. სსრ კავშირისა და იაპონიის ტანმოვარჯიშეთა მატჩში ცალკეულ იარაღებზე შეჯიბრების პირველმა დღემ ასეთი შედეგები მოგვცა: ქალები — ბჯენითი ხტომა — ნ. კონცოვა და ზ. დრუჟინინა — 9,65; ვაჟები — ტაიჭი — ს. დიამიდოვი — 9,85, რგოლები — ვ. ლეონტიევი — 9,9. თავისუფალი ვარჯიში მოიგო კ. ხირაიმ.

◆ **მოსკოვი, 23 ოქტომბერი.** ცსკა-ს აუზში გაიმართა „ა“ კლასის წყალბურთელთა გუნდების მორიგი ტურის შეხვედრები, რომლებიც ასე დამთავრდა: „ბალტიკა“ (ლენინგრადი) — „დინამო“ (ლვოვი) 1:1, „დინამო“ (კიევი) — „სპარტაკი“ (ვოლგოგრადი) 2:2, „ბურევესტნიკი“ (მოსკოვის უნივერსიტეტი) — „ტორპედო“ (მოსკოვი) 4:5. სამხედრო-საზღვაო ფლოტის ცენტრალური საწყლოსნო-სპორტკლუბის გუნდმა მოუგო მოსკოვის „დინამოს“ (4:3) და გაინაღდა სსრ კავშირის ჩემპიონის წოდება. თბილისის „დინამომ“ 1 ქულა დაკარგა მინსკის „ბურევესტნიკთან“ შეხვედრაში.

◆ **პარიზი,** 23 ოქტომბერი. როგორც აქ გამოცხადდა, საბჭოთა ფეხბურთელები ლ. იაშინი და ვ. ვორონინი აღიარებული არიან წლევანდელი სეზონის საუკეთესო მეკარედ და ნახევარმცველად მსოფლიოში.

◆ **კოპენჰაგენი, 23 ოქტომბერი.** დამთავრდა დანიის დედაქალაქის საჭადრაკო კლუბის 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო ტურნირი. I პრიზი გაიყო სამმა დიდოსტატმა — საბჭოთა კავშირის წარმომადგენლებმა მ. ტაიმანოვმა და ა. სუეტინმა, აგრეთვე იუგოსლაველმა ს. გლიგორიჩმა. მათ მოაგროვეს 11-11 ქულა. IV ადგილზეა დიდოსტატი ბ. ლარსენი (დანია) — 10,5, V — დიდოსტატი ვ. ჰორტი (ჩეხოსლოვაკია) — 10.

◆ ო ტ ა ვ ა, 23 ოქტომბერი. სსრ კავშირის ფრენბურთელ ქალთა და ვაჟთა ნაკრები გუნდები თავიანთ მდიდარ გამოცდილებას გადასცემენ კანადელ სპორტსმენებს, მათთან ერთად ატარებენ საწვრთნელ ვარჯიშებს. მაგრამ მასპინძლებთან ჩვენებს ჯერ არც კი გაუმართავთ მატჩები. საბჭოთა ფრენბურთელები კვლავ ამერიკელებს შეხვდნენ და ქალებმაც და ვაჟებმაც ისევ ერთნაირი ანგარიშით გაიმარჯვეს — 3:0.

„ვეფხვები" კლდეზე

ყირიმში „ხავერდოვანი" სეზონი დამთავრდა. დაიწყო სპორტული სეზონი. იგი ალპინისტებმა გახსნეს. ისინი იალტაში ჩვენი ქვეყნის ყოველი კუთხიდან ჩამოვიდნენ. საქმე სრულებით არ გახლავთ ის, რომ აქ უცბად მიუდგომელი მწვერვალები აღმოაჩინეს. მიუდგომელი მწვერვალები ყირიმში არ არის, მაგრამ არის ჩინებული კლდეები. ერთ-ერთ მათგანზე, რომელსაც „კრესტოვაია" ჰქვია, მთათა მწვერვალების მამაც დამპყრობლებს ერთმანეთში უნდა გამოეცადათ ძალები.

ალპინიზმი, ვგონებ, სპორტის ერთადერთი სახეობაა, სადაც შეჯიბრება, როგორც ასეთი, არ არის და არც შეიძლება იყოს. სპორტსმენები დაუსწრებლად ეპაექრებიან ერთმანეთს. ისინი ვერ ხედავენ მეტოქეებს, ხოლო თავად მათ მაყურებლები ვერ ხედავენ. დრამატული ასვლების მოწმენი მხოლოდ უტყვი მთები არიან. ფედერაცია ყოველწლიურად მიაკუთვნებს ჩემპიონთა ტიტულებს, ოქროსა და სხვა მედლებს, მაგრამ ხომ მეტად საინტერესოა ეს ჩემპიონები უშუალოდ „საქმეში" ვნახოთ?!

აი, სწორედ ამის საშუალებაც მიეცათ იალტელ დამსვენებლებს კლდეზე ცოცვაში სსრ კავშირის პირველობის დროს. ასეთი შეჯიბრება პირველად ჩატარდა საბჭოთა ალპინიზმის მთელი ისტორიის მანძილზე და, ბუნებრივია, დიდი ინტერესიც გამოიწვია. თავისი წარმომადგენლები მოავლინა 20 ქალაქმა. მოსკოვმა, ლენინგრადმა, კიევმა და თბილისმა ორ-ორი გუნდი გამოიყვანა. ყოველ გუნდში ოთხი სპორტსმენი იყო — 3 ვაჟი და 1 ქალი.

კლდე „კრესტოვაია" სავსებით შვეული კედელია. მისი ციცაბო 85 გრადუსს აღწევს, ხოლო სიმაღლე — 90 მეტრს. ტრასად შეირჩა ტექნიკურად მეტისმეტად რთული მარშრუტი. ჯერ კიდევ შეჯიბრების დაწყებამდე აშკარა იყო, რომ მონაწილეთა ნახევარი მაინც „დაიმტვრევდა კბილებს" ამ კლდეზე. განსაკუთრებით ძნელია პირველი მონაკვეთი — 30 მეტრის სიგრძის თითქმის შიშველი კედელი, რომელსაც არაფერი აქვს მოსაჭიდებელი.

შეჯიბრების პირობებით, არც ერთ მონაწილეს არ ჰქონდა უფლება წინასწარ გასცნობოდა ტრასას. შედეგი გამოიყვანება დროისა და ტექნიკის მიხედვით. კლდის გავლა მხოლოდ სწრაფად კი არაა საჭირო, არამედ გონივრული ტექნიკითაც.

ჩვეულებისამებრ, ჯერ პროგნოზებზე ვისაუბროთ, შემდეგ კი — შედეგებზე. ვეკითხები მსაჯთა კოლეგიას, მწვრთნელებს, ჟურნალისტ კოლეგებს. საერთო გამარჯვებას ლენინგრადის ან მოსკოვის გუნდს უწინასწარმეტყველებენ, ქალთა პირველობაში ფავორიტებად მოსკოველ ტიმოფეევას და კიეველ გორლაევას ასახელებენ. ორი აზრი არ არსებობს მხოლოდ მიხეილ ხერგიანთან დაკავშირებით.

— მიშა უახლოეს მეტოქეს 2 წუთის სხვაობით დაამარცხებს, — თქვა შეჯიბრების მთავარმა მსაჯმა, სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა ი. ანტონოვიჩმა და თანაშემწეებმაც, როგორც ეს „შტატითაც" ეკუთვნით თანაშემწეებს, ერთხმად დაუკრეს კვერი.

მაგრამ მსაჯები ბჭობენ, სპორტსმენები კი განაგებენო... პირველი სიურპრიზი ლენინგრადელებმა „გვიძღვნეს". ისინი იალტაში ასპარეზობის დაწყებამდე ერთი თვით ადრე ჩამოვიდნენ და იცოცეს ყველა კლდეზე, რომლებზედაც კი შესაძლებელი იყო ცოცვა. და, რა თქმა უნდა... გადაიქანცნენ, როგორც იტყვიან, „გადაიწვრთნენ" კიდეც: თითქმის ყველა ლენინგრადელი მოწყდა კლდეს.

ნუ შეგაშინებთ სიტყვა „მოწყდა". მწვერვალზე ასვლის დროს მოწყდომა ხიფათს უდრის. შეჯიბრებაზე კი სპორტსმენი დაზღვეულია. ჩამოვარდნის დროს იგი უბრალოდ ეკიდება დამზღვევ თოკს და უბრალოდვე... ეთიშება შეჯიბრებას.

პირველი სამი დღის შემდეგ დაბეჯითებით ლიდერობდა მოსკოვის გუნდი. თბილისელები? ისინი სადღაც, ცხრილის შუაგულში „ჩაიკარგნენ". ალპინიზმი და კლდეზე ცოცვა ერთი და იგივე როდია. შეიძლება კარგი კლდეზე მცოცავი იყო, მაგრამ ალპინისტად არად ვარგოდე. ამავე დროს კი, არ შეიძლება იყო კარგი ალპინისტი, თუ ცუდი კლდეზე მცოცავი ხარ. იალტაში კი გამოირკვა, რომ ბევრი ალპინისტი მაინცდამაინც ვერ ეუფება კლდეზე ცოცვის ტექნიკას. ვაჟთა ასპარეზობის 82 მონაწილიდან ფინიშს მხოლოდ ნახევარზე ნაკლებმა მიაღწია. დისტანციის გავლის საშუალო დრო 13 წუთის ფარგლებში მერყეობდა.

რაც შეეხება გამარჯვებულს, იგი გახდა, როგორც გვიწინასწარმეტყველებდნენ კიდეც, ჩვენი თანამემამულე — ხერგიანი. მაგრამ, პროგნოზების საპირისპიროდ, ეს გამარჯვება არც ისე იოლი აღმოჩნდა. ახალგაზრდა ალმაათელმა ასპირანტმა ოლეგ კოსმაჩოვმა მიხეილს ერთი წამით მოუგო. მან მარშრუტი 6 წუთსა და 50 წამში განვლო. მაგრამ ის ჩქარობდა, ძალიან ჩქარობდა და კინაღამ მოწყდა კიდეც: ორჯერ დაუსხლტა ფეხი და მსაჯებმა ტექნიკაში 30 ქულა ჩამოაკლეს. ხერგიანმა 234 ქულა მოაგროვა, კოსმაჩოვზე 24-ით მეტი, და საბოლოო I ადგილი მის ხელთ აღმოჩნდა.

სამაგიეროდ, ერთი დღის შემდეგ კოსმაჩოვმა რევანში აიღო. მან გაიმარჯვა წყვილთა ცოცვაში. ეს ასპარეზობის სრულიად ახალი სახეობაა. მეტოქეები სტარტს იღებენ ორ პარალელურად მიმავალ მარშრუტზე. ჩამოსვლისას ისინი მარშრუტებს ცვლიან. ამრიგად იქმნება პირობების ერთნაირობა. წყვილთა ცოცვაში კოსმაჩოვმა 4.01,4 აჩვენა და მოაგროვა 358 ქულა. ხერგიანმა კი მარშრუტი 4 წუთსა და 36,1 წამში გაიარა და 347 ქულა მოაგროვა.

ხერგიანის დამარცხება წყვილთა ცოცვაში შემთხვევითი არ იყო: კოსმაჩოვი მთელი ზაფხულის განმავლობაში ვარჯიშობდა. მას არც ერთ ლაშქრობაში არ მიუღია მონაწილეობა, რადგან ერთადერთი მიზანი ჰქონდა — პირვ ლი ადგილი აელო კლდეზე ცოცვაშ და მან თითქმის მიაღწია კიდეც მ ზანს. ჩვენი ხერგიანი კი, ეს ფენომენ ადამიანი, რომელსაც ინგლისელებ „კლდის ვეფხვი" შეარქვეს, იალტაშ ისე ჩამოვიდა, როგორც ჩვეულებრ გასეირნებაზე. მიხეილი ჩემპიონი გა და, მაგრამ მისი შედეგი გაცილებ უკეთესი შეიძლება ყოფილიყო. ეს უ ვე პრესტიჟის საკითხია...

ვაჟთა შორის ხერგიანის გამოსვლ შემდეგ I ადგილის ბედი პრაქტიკულ გადაწყვეტილი იყო, მაგრამ ქალთა შ რის უკანასკნელ დღემდე ყველაფე გაურკვეველი ჩანდა. „სუსტი სქესი წარმომადგენლებს ლიდერები კალეიდ სკოპური სისწრაფით ეცვლებოდათ. ბ ლოს, ალმაათელმა პირველთანრიგოს ნმა რიტა სპიცინამ აჩვენა 3.17,8. ტ ნიკაში 234 ქულა მიიღო და უკან მ იტოვა სპორტის ოსტატები გორლავ ტიმოფეევა და კორაბლინა. სპიცი ჩემპიონი გახდა.

გუნდური პირველობა მონაწილე ქულების ჯამის შეკრებით ვლინდებ და. აქ კი სიურპრიზი თბილისის I გ ნდმა მოგვართვა: იგი ჩემპიონი გახდ ეს მით უფრო სასიხარულოა, რომ, ხე გიანის გარდა, გუნდის ყველა მონაწ ლე სულ ახალგაზრდა ბიჭები არი რომლებსაც მსგავსი ასპარეზობის გ მოცდილება არ აქვთ.

გამარჯვებულებს არ ასამართლებენ ჩვენს ბიჭებს უთუოდ გულმხურვალე მიულოცავენ, როგორც ჩვენშია მიღ ბული, გუნდრუკსაც უხვად შეუკმევ მაგრამ არავის დასცდება სიტყვა, თუ რ ფასად დაუჯდათ მათ გამარჯვებ გუნდი კი ფიზიკურად ძალზე სუსტა იყო მომზადებული. ჩვენი მცოცავე კარგ ტექნიკას ავლენდნენ, მაგრამ მ რშრუტის ბოლოსათვის არაქათი აღ ჰყოფნიდათ. გუნდმა 1615,1 ქულა მ აგროვა, მაგრამ ეს ციფრი გაცილებ უფრო დიდი შეიძლება ყოფილიყო. ა სწორედ ამ პოზიციიდან უნდა შევაფ სოთ ჩვენი ალპინისტების გამარჯვე და ერთი წუთითაც არ დავივიწყოთ, რ საქართველო საბჭოთა ალპინიზმის ვანია, რომ ალპინიზმი საქართველ სათვის უბრალო სპორტი კი არა, ე ვნული სპორტია.

ვ. ქაჯაია
(ჩვენი სპეც. კორ.)

იალტა.

• • •

სურათებზე: ზევით — მა თლაც ვაჟკაცობა უნდა ასეთი ც ცაბოს დაძლევას... ქვევით — ტრ საზეა თბილისის I გუნდის წევრ თინა ხერგიანი.

ფოტო ავტორისა.



სსრ კავშირის I პირად-გუნდური ჩემპიონატი კლდეზე ცოცვაში

ფალავნები შეიბნენ

ქასპი, 23 ოქტომბერი. გუშინ აქ დაიწყო საქართველოს სამბისტთა პირად-გუნდური ასპარეზობა, რომელშიც მონაწილეობენ თბილისის, ქუთაისის, გორის, კასპის, საგარეჯოს, გარდაბნის, მცხეთისა და ცხინვალის ფალავნები. მოჭიდავეთა რიცხვმა 90-ს მიაღწია.

ათლეტები წონითი კატეგორიების მიხედვით დაყოფილი არიან ქვეჯგუფებად, საიდანაც 2-2 საუკეთესო გააგრძელებს ბრძოლას ნახევარფინალში.

ასპარეზობას სათავეში ჩაუდგა თბილისის ძლიერი გუნდი, რომელსაც 2-2 გამარჯვება მოუპოვეს ო. ხუციშვილმა და ბ. ბეროშვილმა. მაღალ სპორტულ მომზადებას ამჟღავნებენ კასპელები ვ. იაშვილი და გ. ბალხამიშვილი. ამ უკანასკნელმა მეორე წრეში ქუთაისელი ლ. ღონღაძე პირველ წუთზევე ლამაზი კისრულით გააკრა ხალიჩას და მტკივნეული ილეთით აიძულა დანებებოდა. კარგად ჭიდაობს გორელთა ახალგაზრდა ფალავანი ი. კლდიაშვილი. ორივე შეხვედრაში მან დამსახურებულ გამარჯვებას მიაღწია.

შეჯიბრება კარგად არის ორგანიზებული. ქების ღირსია ობიექტური კასპელი მაყურებელი.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ისეთი რაიონი, როგორიც ქარელია, ასპარეზობაზე მხოლოდ ორი მონაწილით წარსდგა, ხოლო აფხაზეთი... ერთს დასჯერდა გუნდები ვერ გამოიყვანეს აჭარამ და თელავმა.

ზ. ხორავა.
(ჩვენი სპეც. კორ.).

წილი ნაყარია

დღეს — პირველი ტური

გუშინ...

თბილისში, რესპუბლიკურ ცენტრალურ საჭადრაკო კლუბში გაიხსნა საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირი, რომელშიც მონაწილეობენ 8 ქვეყნის წარმომადგენლები.

ტურნირის მთავარმა მსაჯმა ა. ჯაკობიამ მონაწილეებს გააცნო შეჯიბრების რეგლამენტი და გამოაცხადა წილისყრის შედეგები:

1. საერთაშორისო დიდოსტატი რ. ხოლმოვი (სსრკ), 2. საერთაშორისო ოსტატი ვ. იანსა (ჩეხოსლოვაკია), 3. საერთაშორისო ოსტატი ა. გიპსლისი (სსრკ), 4. საერთაშორისო ოსტატი რ. ფუქსი (გდრ), 5. საერთაშორისო ოსტატი რ. ბოგდანოვიჩი (იუგოსლავია), 6. საერთაშორისო დიდოსტატი მ. დამიანოვიჩი (იუგოსლავია), 7. საერთაშორისო ოსტატი ვ. პიტჩი (გდრ), 8. ოსტატი რ. ჯინჯიხაშვილი (სსრკ), 9. ოსტატი ვ. ბალცეროვსკი (პოლონეთი), 10. ოსტატი ა. ბუსლაევი (სსრკ), 11. ოსტატი ა. ბოკუჩავა (სსრკ), 12. საერთაშორისო ოსტატი ბ. შოოში (რუმინეთი), 13. ოსტატი ი. რადულოვი (ბულგარეთი), 14. საერთაშორისო ოსტატი ლ. ნავაროვსკი (უნგრეთი), 15. საერთაშორისო ოსტატი ა. კოლაროვი (ბულგარეთი), 16. ოსტატი ბ. გურგენიძე (სსრკ), 17. საერთაშორისო დიდოსტატი ა. ლილიენტალი (სსრკ), 18. საერთაშორისო ოსტატი ვ. ალატორცევი (სსრკ).

ტურნირი გაიმართება ძერჟინსკის სახელობის კლუბში. პირველი ტური შედგება დღეს, 2 საათზე.

წერილი რედაქციას

როდის გვექნება სტადიონი?

დიდი სოფელია კვალითი. აქაურ ახალგაზრდობას სწავლასა და შრომასთან ერთად იტაცებს სპორტი. ჩამოყალიბებულია ფეხბურთის, ფრენბურთის, კალათბურთისა და ჭადრაკის წრეები.

ამ რამდენიმე წლის წინ კვალითის საშუალო სკოლას ჰქონდა სპორტული ბაზა, მაგრამ იგი გადახნეს და სამაგიერო ნაკვეთი არ მოგვცეს. მიუხედავად ამისა, კვალითელმა სპორტსმენებმა გამოძებნეს წლობით მიტოვებული ადგილი, გაწმინდეს იგი ქვა-ღორღისგან და იქ ფეხბურთის სათამაშო მინდორი მოაწყეს.

როგორც ჩანს, კოლმეურნეობის ხელმძღვანელობას მოეწონა გაწმენდილი ადგილი და ისიც უმალ გამოიყენა სათესად.

ვუცდით: როდის იფიქრებს სოფლის თავკაცობა ანგარიში გაუწიოს ახალგაზრდობის ინტერესებს?

სოფელ კვალითის საშუალო სკოლის კომკავშირის ორგანიზაცია.

ზესტაფონის რაიონი.

რაიონების სტადიონებიდან

✦ წალენჯიხა

დიდი ინტერესი გამოიწვია რაიონის ვეტერან ფეხბურთელთა შეხვედრამ ადგილობრივი „კოლმეურნის" გუნდთან, რომელიც წარმატებით მონაწილეობს რესპუბლიკური პირველობის II ჯგუფში. ახალგაზრდებმა მხოლოდ დაძაბული ბრძოლის შემდეგ შეძლეს გამარჯვების მოპოვება — 5:4.

ჟ. მიქავა.

✦ ბათუმი

ხუთ თვეს გრძელდებოდა აჭარის პირველობა ფეხბურთში ფიზკულტურულ კოლექტივებს შორის. გამარჯვებისთვის იბრძოდა 9 გუნდი. ასპარეზობაში წარმატება წილად ხვდა ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის კოლექტივს, რომელმაც 14 ქულა მოაგროვა. გამარჯვებულს 1 ქულით ჩამორჩა ფეხსაცმლის ფაბრიკის გუნდი. III ადგილზე არიან ხულოს რაიონის ფეხბურთელები.

ო. მურვანიძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მხიარული გვერდი

სახარება სპორტული

აჰა, ესე წიგნი, ოდნავ სტილიზებული და თანამედროვე ქართულსა ზედა მოსადაგებული, დავწერე მე, ახალმან მოციქულმან:

პირველთაგანვე იყო რაიონ, რაიონს ჰყავდა სპორტკავშირ და თავმჯდომარე მისი.

და უთხრეს თავმჯდომარეს ჟამსა მას განკითხვისას:

— რაი ხარ შენ? არცა სპორტსმენებს ზრდი, არცა ბაზებს აშენებ და თანრიგოსანთა მომზადების მხრივაც უკანასკნელ ხარ რესპუბლიკასა შინა.

ხოლო თავმჯდომარემ უთხრა მათ:

— მომიტევეთ, რევიზორნო, რამეთუ თანხები არ გააჩნია სპორტკავშირს და უსასყიდლოდ არცა ბაზები აშენდების, არცა თანრიგოსანნი დაიზრდების...

ვითარცა მოისმინეს რევიზორთა ქადაგება თავმჯდომარისა, უთხრეს მას:

— ნუცა თანხებს მოითხოვ, ნუცა სასყიდელსა. ააშენე ბაზები და დაზარდე თანრიგოსანნი.

მაშინ წავიდა თავმჯდომარე იგი კაბინეტს, ხოლო რაჟამ მივიდა კაბინეტს, აღიღო კალმისტარი დიდი და მოხდა სასწაული!

კალმისტარ შვა მესამეთანრიგოსან;

მესამეთანრიგოსან შვა მეორეთანრიგოსან;

მეორეთანრიგოსან შვა პირველთანრიგოსან;

პირველთანრიგოსან შვა ოსტატ;

ოსტატ შვა ჩემპიონ;

ჩემპიონ შვა რეკორდსმენ და ძმანი მისნი.

ხოლო რა იხილა თავმჯდომარემ სასწაული ქაღალდისანი — რეკორდსმენნი და ჩემპიონნი — რქუა მათ:

— ჰე, სპორტსმენნო, ამიერიდან ნუცა სასმელსა დაეწაფებით, ნუცა დედათა სქესსა, რამეთუ დიდი არს საქმენი თქვენნი და გეგმანი სპორტკავშირისანი.

ამინ, გეტყვით თქვენ!

რა გაიგეს ესე სასწაული ზევით, იხმეს თავმჯდომარე იგი და უთხრეს მას:

— აჰა, მამაო, უკეთუ შენ ხარ მოწინავე, წადი გუნდითა შენითა შეჯიბრებაზე და აჩვენე სასწაულნი სპორტულნი და ფიზკულტურულნი.

რაი ექნა თავმჯდომარეს? მას დღესა შინა გამოვიდა რაიონისგან მისგან და იტვირთა ტვირთი მძიმე ტურნირისა და ჩემპიონატისა.

ხოლო რა გამოვიდნენ სპორტსმენნი თავმჯდომარისანნი შეჯიბრებაზედ, იყო მითქმა-მოთქმა დიდი და სიცილ-ხარხარი განუზომელი:

რომელი სპორტსმენი გამოვიდა მეტრიანი თამასის დასაძლევად, ვერ გადახტა 40 სანტიმეტრზეც;

რომელმან განიზრახა ბირთვის კვრა 10 მეტრზე, ვერ გადააგდო ხუთზეც.

მაშინ იხმო თავმჯდომარემ ფეხბურთელნი და ჰქონდა იმედი დიდი, რამეთუ ფეხბურთით აპირებდა ქულების შეგროვებას.

და ირბინეს ფეხბურთელთა 20 წუთი. ხოლო რა მიიწურა 20 წუთი, ყოველი იგი ღონემიხდილი და ოფლში გაწურული, დადგებოდის და იყო წაგება ზღაპრული და გაუგონარი — 0:40!

— ეჰე, მამაო, — თქვეს გაკვირვებულთა მსაჯთა, — უკეთუ შენ ხარ მოწინავე, რა გინდოდა შეჯიბრებაზე ინვალიდებითა და გლახაკებით?

მაშინ მოუწოდა სპორტსმენთა თვისთა ათორმეტთა და უთხრა მათ:

— ნათესავი ბოროტი და მემრუში მიღალატებს მე.

— ნუთუ მე, მამაო! — წამოიძახეს სპორტსმენთა.

ხოლო იუდა ისკარიოტელმა მოახსენა ზემდგომთ საიდუმლო სასწაულნი თავმჯდომარისანი.

და ჯვარს აცვეს თავმჯდომარე იგი.

გ. რეხვიაშვილი.

[illegible]

საფეხბურთო თხზულებანი

პაროდია

1. ფინალური მატჩის დრამატული მოზაიკა

მოსკოვი (ადგილობრივი კორ.). ჯერ კიდევ მატჩი დაწყებული არ იყო, რომ აღმოსავლეთის ტრიბუნიდან ამოცურდა გაბადრული მთვარე, მრგვალი, როგორც ბურთი და ყვითელი, როგორც მედალი. და რაც უფრო უახლოვდებოდა მნათობი თავის აპოგეას, მედალსაც მით უფრო ემატებოდა ფასი და აშკარა იყო, რომ მეტოქეებს უკომპრომისო ბრძოლაში, უკვე ერთმანეთის პირისპირ, მოუხდებოდათ საიდუმლოებით მოცული იქსისა და იგრეკის ამოხსნა: ვინ ვის!?

მატჩი კი არ დაიწყო, არამედ ადგილიდან გაქანდა. მაგრამ მრავალტანჯულმა გულშემატკივარმა მოგვიტევოს, თუ ამ ტიტანურ ორთაჭიდილს მწვანე მინდვრიდან ესთეტიკის სფეროში გადავიტანთ... ალბათ, თქვენც აგიღიათ ხელში რომელიმე მაღალმხატვრული რომანი, გადაგიშლიათ მისი პირველი გვერდი და, როგორც კი თვალებით გაგირბენიათ მასზე, სადღაც იქით, შემეცნების შორეულ მიჯნაზე, გაგჩენიათ ბუნდოვანი შეგრძნება წიგნის მრავალფეროვანი შინაარსისა; უკვე გიგრძვნიათ ნაწარმოების რიტმი, ფაბულა და კომპოზიცია, შესულხართ პერსონაჟთა ინტერესების სფეროში, აკანკალებული დალოდებიხართ მძაფრ სიტუაციას და, ჯადოსნურ სტრიქონებზე თვალებით რომ დარბოდით, მიილტვოდით წინ, სულ წინ, იდუმალებით მოცული ეპილოგისკენ!

განა ამასვე არ განვიცდით ჩვენ, რიგითი გულშემატკივრები და მრავალნაცადი სპეციალისტებიც კი, როცა საქმე გვაქვს უაღრესად პათეტიკურ და ესთეტიკურ თამაშთან — ფეხბურთთან!!! ვერ ვიტყვით, რომ ეს წიგნი სავსებით გაუგებარი იყოს ჩვენთვის, და მისი პერსონაჟებიც ხომ ნაცნობნი არიან (მოსდევს სია: გუნდები თამაშობდნენ შემდეგი შემადგენლობით...) — იგი გაგრძელებაა, ახალი მკაფიო სერიაა ძველი, მაგრამ მუდამ უჭკნობი ეპოპეისა, რომელსაც ჩვენ, სპორტის თაყვანისმცემლები, სიამაყით ვუწოდებთ ამაღელვებელ სიტყვას — ფეხბურთს!

აბა წიგნის რომელ ფურცელზე გავჩერდით ჩვენ გასულ სეზონში? ახ, ჰო! შარშანდელ ტრაგიკულ და კონფლიქტებით აღსავსე ფინალზე, რომლის სასწორზე დოლარებივით ეყარა ოქროსა და ვერცხლის მოციმციმე მედლები...

და აჰა, კვლავ იქსი და იგრეკი, კვლავ ბნელით მოცული ორუცნობიანი განტოლება: ტექნიკური „სინიცა" თუ ძალისმიერი „კანარეიკა"?

მატჩის დასაწყისი კარგ ეპილოგს არ უქადდა „კანარეიკელთა" ბასტიონის ფორპოსტებს. უკვე მეორე წუთზე „სინიცელთა" მარცხენა გარემარბი, უკანა ეშელონიდან საბრძოლო მასალა — პასი რომ მიიღო, დიდი ხელოვნებით გაიჭრა სადემარკაციო ხაზიდან პირდაპირ ცეცხლის ალმოდებული ხაზისაკენ. „კანარეიკის" მეკარე ვ. აუტინი, როგორც ჩანს, არ ელოდა მოვლენათა ესოდენ ელვისებურ განვითარებას. მაგრამ მას, სამწუხაროდ, არ მოუხდა თავისი ექსტრაკლასის ჩვენება: ბურთი მეტეორივით ავარდა კოსმოსში და ორბიტაზე გავიდა.

თამაშის ფაბულა სულ უფრო დრამატულ ხასიათს იღებს. „სინიცელთა" ფილიგრანულ ტექნიკას, ქვაკუთხედად რომ არის დაყენებული გუნდში, „კანარეიკელებმა" დაუპირისპირეს ჭეშმარიტად ძალისმიერი და ლამაზი ათლეტური ფეხბურთი. უკანასკნელთა მთავარი მოქმედნი პირნი — მცველები — ერთხმად გამოდიოდნენ ცეცხლის ხაზის სიღრმეში და მასირებულ ჩინურ კედელს ქმნიდნენ. განსაკუთრებით გამოირჩეოდა ტანდემი კორნელოვიჩი — პენალტინი. მათ კარგად იცოდნენ, რომ მოწინააღმდეგის მოცელვა საჭიროა გარკვეულ ნეიტრალურ ზონაში, სადაც ნაკლებად ვრცელდება თერთმეტმეტრიანთა კოდექსის ულმობელი მუხლები. მაგრამ არ შეიძლება ითქვას, რომ ამ ტაქტიკურ ჩანაფიქრს არ ემოქმედოს ტყავის ბურთის რაინდთა ჩვეულებრივ მუხლებზე, რომელთა ტრავმა განსაკუთრებით II ტაიმში გახშირდა და ბოლოს 42-ს მიაღწია (ეს მსჯელობის ღირსია).

89-ე წუთი. „კანარეიკელთა" ცენტრალური ფორვარდი ა. ტარანინი იღებს მსუბუქ ტრავმას. მაგრამ მან არ დატოვა ბრძოლის ველი და 6 ჩამტვრეული ნეკნით ოსტატურად განაგრძობდა „სინიცელთა" პოზიციების დალაშქვრას. და როცა ანგარიში იყო 2:1 „სინიცელთა" სასარგებლოდ, მან, ტარანინმა, საკუთარი მკერდით დაფარა ცხრიანისკენ მიმქროლავი ბურთი! ექვსმა ნეკნმა გაადინა ზედიზედ ჭახანი და სტადიონი შეაზანზარა.

ასე დაიხურა ამ შესანიშნავი ეპოპეის უკანასკნელი ფოლიანტი.

არა, რაც უნდა ითქვას, ჭეშმარიტად სათასო გუნდია „სინიცა"!

დუბლიორები — 3:2 „კანარეიკის" სასარგებლოდ.

2. გუშინ ჩატარდა მორიგი მატჩი

თბილისი (სპეც. კორ.). „კაჭკაჭის" სტადიონი. არც ცხელა და არც ცივა. თერმომეტრი უჩვენებს 40-ს. პირველ ტაიმში ბუნებრივი მზის განათება, მეორეში — ელექტრო.

ის, რომ ძველი მეტოქეების — „კაჭკაჭისა" და „კოდალას" ორთაბრძოლა დიდი ფეხბურთის კატეგორიას განეკუთვნება, არავისთვის არაა საიდუმლოება. განსაკუთრებით ეს ითქმის კაჭკაჭელებზე, რომლებიც თავისი ტაქტიკური სიმწვავით, თეორიული მოულოდნელობით და, კერძოდ, ჩანაფიქრის შესრულების ხარისხით მარადჟამს ახლოს დგანან კარის ბლებასთან. ესეც, რა თქმა უნდა, არავისთვის არ წარმოადგენს საიდუმლოებას. მაგრამ ყოველივე ის, რაც ჩვენს სტადიონზე ვიხილეთ, არავითარ შემთხვევაში არ გვაძლევს ოპტიმისტური განწყობილების უფლებას. უფრო მეტიც! თუ ასე გაგრძელდა, კაჭკაჭელებმა შეიძლება არა მარტო სიმწრით მოპოვებული მედლები დაკარგონ, არამედ სულ დატოვონ თავიანთი ჩვეული ბუდე — „ა" კლასი. სარეცენზიო მატჩის თეორიულმა განხილვამ და ღრმა ფსიქოლოგიურ-მეთოდოლოგიურმა ანალიზმა კიდევ უფრო დაგვარწმუნა ამ სიტყვების ჭეშმარიტებაში.

მთელი 90 წუთის განმავლობაში კაჭკაჭელებმა ორჯერ თუ შეძლეს დამაჯერებელი შეტევის წარმოება. თანაც მეტისმეტად არაკვალიფიციურად მოქმედებდნენ უკანა ხაზის ეშელონშიც. მართალია, მათმა ტანდემმა ერთხელ კარგად აწარმოა მარჯვენა ფლანგზე გარღვევა, მაგრამ ეს ოდნავადაც არ წარმოადგენდა რაიმე სერიოზულ საფრთხეს. მეორე შემთხვევაში კი მოხდა ისე, რომ ერთადერთი გოლი, რომელიც კაჭკაჭელებმა მეტოქეთა კარში აწარმოეს, 50 ათასმა მაყურებელმა დაინახა, მაგრამ მსაჯმა სამართლიანად ვერ შენიშნა. თუმცა დამარცხება ორივე გუნდისათვის მომაკვდინებელი იქნებოდა...

არა, ასეთი გუნდით შორს ვერ წავალთ!

გუნდები თამაშობდნენ შემდეგი შემადგენლობით...

გ. შადური.

უცხოური იუმორი

ფეხბურთის ფანატიკოსი

— პირდაპირ დაუჯერებელია! — გაუბრაზდა ცოლი ქმარს — ფეხბურთის გულშემატკივარს. — შენ კარგად გახსოვს ყველა მატჩის ანგარიში, ყველა ფეხბურთელის სახელი, მაგრამ დარწმუნებული ვარ, ჩვენი ქორწინების დღე დაგავიწყდა.

— როგორ გეკადრება! ჩვენ დავქორწინდით სწორედ იმ დღეს... როცა „ოლიმპიამ" ანგარიშით 3:0 დაამარცხა „ვიქტორია"!



— მაშ ასე, წელს ქვევით დარტყმა არ შეიძლება.

ნახ. ვ. სოლოვიოვისა და ვ. ჟარინოვისა.

ჭადრაკის ქალღმერთი იღიმება...

კაისა ჭადრაკის ქალღმერთია*. მაგრამ არ გეგონოთ, რომ იგი მუდამ სერიოზულია. კაისას შეუძლია გაიღიმოს, იცინოს და ამას იქნებ უფრო ხშირადაც სჩადის, ვიდრე სხვა ღმერთები.

მოკლედ რომ ვთქვათ, მოჭადრაკეები სრულიადაც არ არიან პირქუში და სერიოზული ადამიანები, რომლებიც მხოლოდ იმით არიან გართული, რომ მთელი დღის განმავლობაში აანალიზებენ უსასრულო ვარიანტებსა და პოზიციებს. მათ ისევე შეუძლიათ ხარობდნენ და ღონდებოდნენ, ხუმრობდნენ და მხიარულობდნენ, როგორც „ჩვეულებრივ მოკვდავთ". ყოველი მოჭადრაკის ცხოვრებაში, დიდოსტატი იქნება თუ პირველთანრიგოსანი, ცოტა რამ როდი ხდება სასაცილო და კომიკური. მაგრამ მათ შესახებ, სამწუხაროდ, ერთობ ნაკლებად იციან გულშემატკივრებმა — ჭადრაკის ქომაგთა მრავალმილიონიანმა არმიამ. საჭადრაკო წიგნები უმეტესად მართლაც უამრავი ანალიზითა და კომენტარითაა სავსე. თავად მოჭადრაკეებზე, მათს ჩვეულებებზე, სიხარულსა თუ ჭმუნვაზე გაცილებით უფრო იშვიათად წერენ.

ვინ იცის, მაგალითად, რომ მსოფლიოს ექს-ჩემპიონის მიხეილ ტალის ბინაზე, თუ კი ასპარეზობა რიგაში ხდება, თითქმის ყოველი ტურის შემდეგ ნამდვილი საესტრადო კონცერტები ეწყობა, სადაც მთავარი რეჟისორისა და შემსრულებლის როლში... თავად მიხეილ ტალი გვევლინება. ვინ იცის, მაგალითად, რომ ცნობილ არგენტინელ დიდოსტატებს მიგუელ ნაიდორფსა და გერმან პილნიკს ჭადრაკის დაფასთან ხუთსაათიანი დაძაბული ბრძოლის შემდეგაც, ერთობ სოლიდური ასაკის მიუხედავად, ძალუძთ საათობით... იცეკვონ მოდური ცეკვები. ვინ იცის, მაგალითად, რომ გამოჩენილი იუგოსლაველი დიდოსტატი, 40 წელს გადაცილებული სვეტოზარ გლიგორიჩი კვლავინდებურად ჭაბუკური თავდავიწყებით თამაშობს... ფეხბურთს.

და აი, თუ გსურთ უფრო ახლოს გაეცნოთ მოჭადრაკეებს, მათზე სრული წარმოდგენა შეიქმნათ, მხოლოდ სპეციალურ საჭადრაკო წიგნებს კი ნუ იკითხავთ; თვალი ადევნეთ პაწია, მხიარულ მოთხრობებსაც, კომიკურ შემთხვევებს მოჭადრაკეთა ცხოვრებიდან, რომლებსაც სპორტის ოსტატი ალექსანდრე ბუსლაევი გვთავაზობს.

ჩემპიონი მიჰყავთ... მილიციაში

ტიგრან პეტროსიანმა სსრ კავშირის ჩემპიონის ტიტული მოიპოვა 1959 წელს, თბილისში, რუსთაველის სახელობის თეატრში. ეს ცნობილია საყოველთაოდ. მაგრამ საეჭვოა ჭადრაკის მოყვარულებმა იცოდნენ, რომ ბოლო ტურის დამთავრებისთანავე ჩვენი ქვეყნის ჩემპიონი წააბრძანეს... თბილისის მილიციის კალინინის რაიგანყოფილებაში.

საქმე ისაა, რომ ტიგრანის თავდავიწყებულმა ქომაგებმა, რომლებიც მისმა გამარჯვებამ აღაფრთოვანა, თეატრის ყველა მისადგომი დაიკავეს და მოუთმენლად ელოდნენ თავიანთი კერპის გამოჩენას. ისინი იმდენად აღგზნებული ჩანდნენ, საეჭვო იყო, „მთელი" გადარჩებოდა თუ არა ჩემპიონი.

მაშინ თეატრში მყოფმა მილიციის კალინინის რაიგანყოფილების უფროსმა ღრმა სტრატეგიული მანევრი განახორციელა: ჩემპიონი და მისი მეუღლე უკანა კარით გააპარა ძნელაძის ქუჩაზე და შემდეგ თავაზიანად მიიპატიჟა იქვე მდებარე მილიციაში, თავის სამუშაო კაბინეტში...

მილიციის თანამშრომლები, რა თქმა უნდა, აღტაცებული დარჩნენ ამ მოულოდნელი სტუმრობით. ვიღას ახსოვდა სხვა „სტუმრები". მაგრამ ყველაზე მეტად მაინც აქაური მძღოლი სერგო ხარობდა, რომელსაც კარგა ხნის შემდეგ ლტოლვილი ჩემპიონის სასტუმროში მიიყვანა მიენდო. გზად სერგომ მთკრძალებით გაანდო დიდოსტატს, რომ ისიც... პეტროსიანია.

დუმილი ოქროა

ცნობილი საბჭოთა დიდოსტატი — თეორეტიკოსი ისაკ ბოლესლავსკი ერთობ სიტყვაძუნწი ადამიანია. ჰყვებიან, რომ ერთხელ ის თავის მეგობართან, ოსტატ ალექსი სოკოლსკისთან ერთად სეირნობდა პარკში, თანაც მთელი საათის განმავლობაში არც ერთ მათგანს სიტყვაც არ დასცდენია.

— რა კარგი ამინდია დღეს! — თქვა, ბოლოს, სოკოლსკიმ.

ბოლესლავსკიმ მკაცრად ახედა მას და წაიბურტყუნა:

— აუტანელი მოლაყბე ხარ, ალექსი!

1960 წელს, ლაიპციგის XIV ოლიმპიადაზე ბოლესლავსკი სსრ კავშირის მოჭადრაკეთა ნაკრები გუნდის მთავარი მწვრთნელი იყო. შუა ოლიმპიადაზე ტურისტთა ჯგუფთან ერთად ლაიპციგში ჩამოვიდა მისი მეუღლე. როცა ცოლმა ქმარს ჰკითხა, სასტუმრო „ასტორიის" რომელ ნომერში ცხოვრობო, ბოლესლავსკი ჩვეულების ერთგული დარჩა: სიტყვაც არ ამოუღია, ისე დააძრო ჯიბიდან გასაღები, ზედ ამბეჭდილი ნომერი დაანახა მეუღლეს და უკანვე ჩაიდო.

ჰყვებიან ასეთ ეპიზოდსაც: სსრ კავშირისა და აშშ-ის მოჭადრაკეთა რადიომატჩის წინ ჩვენი წარმომადგენლები ცხარედ, ერთი ამბით დაობდნენ იმაზე, თუ რამდენი პარტია ეთამაშათ ამერიკელებთან — ერთი, ორი თუ ოთხი. როცა აზრის გამოთქმის ჯერი ბოლესლავსკიზე მიდგა, მან ადგილიდან წამოუდგომლად აიშვირა მარჯვენა ხელის საჩვენებელი თითი. ყველა მიხვდა: „ბოლესლავსკის აზრია ერთი პარტია ვითამაშოთ".

---

* კაისა ჭადრაკის მფარველი ღმერთქალია, საჭადრაკო მუზაა. კაისა XVIII საუკუნის მეორე ნახევრის ინგლისელი ორიენტალისტის ჯონსის ფანტაზიის ნაყოფია. ჯონსმა სანსკრიტული წყაროების საფუძველზე პირველად გამოიკვლია ჭადრაკის უძველესი ფორმა — ჩატურანგა. ჭადრაკის წარმოშობაზე მან პოემაც კი დაწერა, რომელშიც მოთხრობილია, რომ ომის ღმერთი მარსი მოიხიბლა ნიმფა კაისას სილამაზითა და მისი საპასუხო გრძნობა მხოლოდ მას შემდეგ მოიპოვა, რაც ჭადრაკის თამაში გამოიგონა. სწორედ ჯონსის პოემის გამოქვეყნების შემდეგ იქნა აღიარებული კაისა ჭადრაკის „ოფიციალურ" ქალღმერთად.

გენერალური შემოწმება

●

პრეს-კონფერენციის დარბაზიდან

●

გუშინ საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის კლუბში რესპუბლიკის სპორტულ ჟურნალისტთა ფედერაციამ მოაწყო ახალგაზრდა მძლეოსანთა საკავშირო პირადგუნდური შეჯიბრებისადმი მიძღვნილი პრეს-კონფერენცია, რომლის მუშაობაში მონაწილეობდნენ მძლეოსნობის საკავშირო ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი ა. გერჩიკოვი, ფედერაციის პასუხისმგებელი მდივანი ვ. სადოვსკი, სსრ კავშირის მთავარი მწვრთნელი გ. კორობკოვი, უფროსი მწვრთნელი ნ. პეტუხოვა, შეჯიბრების მთავარი მსაჯი, საკავშირო კატეგორიის მსაჯი მ. ტომილინი, „სპარტაკის" ცენტრალური საბჭოს უფროსი მწვრთნელი პ. ერშოვი, „ლოკომოტივის" ცენტრალური საბჭოს უფროსი მწვრთნელი ა. ბაზილევსკი, საქართველოს სპორტკავშირის პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე ლ. სანაძე, სპორტსმენები, ჟურნალისტები და სხვ.

პრეს-კონფერენცია გახსნა ლ. სანაძემ, რომელმაც აღნიშნა, რომ ახალგაზრდა მძლეოსანთა I საკავშირო შეჯიბრების მასპინძლობა წილად ერგო თბილისს, რაც ამ ასპარეზობის მაღალ დონეზე გამართვას გვავალებს.

ა. გერჩიკოვმა დამსწრეთ მოუთხრო საბჭოთა მძლეოსნების შარშანდელ და წლევანდელ მაჩვენებლებზე და აღნიშნა, რომ ტოკიოს ოლიმპიადაზე განცდილი წარუმატებლობის შემდეგ ჩვენმა მწვრთნელებმა და სპორტსმენებმა წლეულს ბევრი მნიშვნელოვანი გამარჯვება მოიპოვეს: ქალებმა და ვაჟებმა დაისაკუთრეს ევროპის თასები, დაამარცხეს შეერთებული შტატების მძლეოსნები და სხვ. მან ილაპარაკა ამას წინათ ალმა-ათაში დამთავრებულ საკავშირო პირველობაზე და დაასკვნა, რომ თუმცა წინსვლა საგრძნობია, მაგრამ ჩვენი მძლეოსნობის განვითარებას ჯერ კიდევ ახასიათებს ხარვეზები. საჭიროა საიმედო ცვლის გამოვლინება და აღზრდა, რომელსაც მიენდობა ქვეყნის ღირსების დაცვა მეხიკოს XIX ოლიმპიადაში. სწორედ ამ ხარვეზების დაძლევას ისახავს მიზნად ახალგაზრდა მძლეოსანთა I საკავშირო საუწყებო შეჯიბრებაც. ტურნირში გამოვლენ 19-20 წლის სპორტსმენები. ესაა ჩვენი მომავლის გენერალური შემოწმება.

მ. ტომილინმა დამსწრეთ გააცნო შეჯიბრების მონაწილენი და რეგლამენტი. სპორტკავშირის ცენტრალური საბჭოს გარდამავალი პრიზისთვის იბრძოლებს 8 გუნდი, აგრეთვე პირად პირველობაში მონაწილე „შრომითი რეზერვების", „ალგას" და სხვა ორგანიზაციების 500-ზე მეტი სპორტსმენი.

შეჯიბრებისადმი ინტერესს ზრდის ტურნირში ზოგიერთი სახელგანთქმული სპორტსმენის — ი. ტერ-ოვანესიანის, ი. პრესის, გ. ფიოლდის, ი. ლუსისისა და სხვათა კონკურსგარეშე მონაწილეობა.

გუნდურ ჩათვლაში დაიშვება 3-3 მონაწილე (ჩათვლაში შედის 2-2 შედეგი), კოლექტივებს ესტაფეტებში გამოჰყავთ თითო გუნდი. რაც შეეხება მსაჯთა კოლეგიას, იგი ძირითადად საქართველოს სპეციალისტებითაა დაკომპლექტებული. თბილისის ორგანიზაციებმა და ჟურნალ-გაზეთების რედაქციებმა საუკეთესოთა დასაჯილდოებლად დააწესეს სპეციალური პრიზები.

პრეს-ცენტრის საქმიანობაზე შეკრებილთ მოუთხრო პრეს-ცენტრის ხელმძღვანელმა გ. აკოფოვმა.

კიეველი ვ. ანისიმოვი შეჯიბრებებში მაღალ სტაბილურ შედეგებს აჩვენებს 400 მ თარჯრბენში. ამას წინათ ალმა-ათაში გამართული საკავშირო პირველობის დროს მან ქვეყნის ახალი რეკორდი დაამყარა — 49,5. ეს შედეგი წლეულს საუკეთესოა მსოფლიოში და ცოტათი ჩამორჩება იტალიელ ს. მორალეს მსოფლიო რეკორდს.

სურათზე: ვ. ანისიმოვი შეჯიბრებისას.

ფოტო ბ. სვეტლანოვისა.

უცხოეთის ამბები

აუცილებელია გამარჯვება

ესპანეთის I ლიგის საფეხბურთო ჩემპიონატი შეწყვეტილია. ორშაბათიდან მოყოლებული, ამ ქვეყნის 22 საუკეთესო ფეხბურთელი ხ. ვილიალონგას ხელმძღვანელობით ინტენსიურ წვრთნას გადის სევილიაში, სადაც მომავალ ოთხშაბათს ჩატარდება შესარჩევი მატჩი ესპანეთისა და ეირეს ეროვნულ ნაკრებ გუნდებს შორის.

ესპანელთათვის ამ მატჩს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს: ფრეს შემთხვევაში ისინი ველარ გავლენ მსოფლიოს პირველობის ფინალში. მათ უნდა გაიმარჯვონ და მხოლოდ მაშინ მოიპოვებენ მესამე, დამატებითი მატჩის ჩატარების უფლებას. ამისათვის იტალიიდან სპეციალურად გამოიძახეს ცნობილი ფორვარდი ლუის სუარესი, რომელიც გაუძღვება ესპანელთა თავდასხმას. **(საქ. ინფ.).**

ჩემპიონობა დაიბრუნა

ნიუ-იორკის „მედისონ-სკვერ გარდენის" რინგზე ნიგერიელმა ზანგმა დიკ ტაიგერმა 15-რაუნდიან ბრძოლაში ქულებით დაამარცხა ამერიკელი ჯოი ჯიარდელო და დაიბრუნა მსოფლიოს ჩემპიონის წოდება საშუალო წონაში პროფესიონალთა შორის.

35 წლის ჯიარდელომ განაცხადა, რომ თავს ანებებს კრივს. **(საქ. ინფ.).**

გრენი „ემუქრება" მეტიუზს

გამოჩენილი შვედი ფეხბურთელი ჰ. გრენი, რომელმაც 1958 წელს ბრწყინვალედ ჩაატარა მსოფლიო ჩემპიონატი, კვლავ განაგრძობს თამაშს. ახლა გრენი 45 წლისაა. იგი გამოდის „იფკ ვერნამოში", რომელსაც ერთდროულად წვრთნის კიდეც. შვედი მიმომხილველების აზრით, გრენი ახლაც სჯობს ამ კლუბის ყველა ფეხბურთელს.

ამას წინათ გრენმა საინტერესო განცხადება გააკეთა, რომ აპირებს მოხსნას მეტიუზის რეკორდი — 50 წლამდე თამაში. უნდა ითქვას, რომ ვეტერანს ახლა არაფერი ეტყობა დაღლისა. გრენი თავისი გუნდის თავდასხმის საუცხოო დირიჟორია და ხშირადაც გააქვს გოლები.

მოკლედ

- **მილანი.** აქ გაიხსნა სპორტული მუზეუმი, სადაც წარმოდგენილია ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშებაში ორგზის გამარჯვებული „ინტერნაციონალეს" ყველა ფეხბურთელის ცვილის ფიგურები.
- **სტოკჰოლმი.** გამოცხადდა, რომ თამაშს სამუდამოდ ანებებენ თავს შვეციის ნაკრების ცნობილი ფეხბურთელები აგნე სიმონსონი და ბერგ ლინდსკოგი.

აღმზრდელები კმაყოფილი არიან

[illegible]

კიევი, 22 ოქტომბერი. ამრიგად, ტოკიოს ოლიმპიადის შემდგომ სსრ კავშირისა და იაპონიის ტანმოვარჯიშეთა პირველ შეხვედრაში გაიმარჯვეს საბჭოთა სპორტსმენებმა. საკდესის კორესპონდენტმა სთხოვა სტუმრების დელეგაციის ხელმძღვანელს ტ. სასანოს და სსრ კავშირის ნაკრების უფროს მწვრთნელს ვ. მურატოვს გაეზიარებინათ თავიანთი შთაბეჭდილებანი კიევში ჩატარებული მატჩის გამო.

— როცა საბჭოთა კავშირში მოვემგზავრებოდით, — თქვა სასანომ, — გვსურდა, პირველ ყოვლისა, გვენახა თუ რას მიაღწიეს საბჭოთა ტანმოვარჯიშეებმა ოლიმპიადის შემდგომ ერთ წელიწადში. უნდა ითქვას, რომ მსოფლიო ტანვარჯიშულ ასპარეზზე ჩვენს მთავარ მეტოქეებს დრო უქმად არ დაუკარგავთ. ჩვენ ვიხილეთ ახალი, ლამაზი და რთული ელემენტები, თუმცა მათ ყოველთვის მტკიცედ ვერ ასრულებდნენ. რაც მთავარია, ჩვენ შევხვდით სრულიად ახალ გუნდს, რომელსაც, ჩემი აზრით, ყველაფერი წინა აქვს.

ჩვენ ხუთ დღე-ღამეს ვმგზავრობდით და შეუძლებელიც იყო დაქანცულობას თავისი დაღი არ დაემჩნია ჩვენი ტანმოვარჯიშეების გამოსვლებზე, განსაკუთრებით ასპარეზობის პირველ დღეს. ჩვენ არ გვიცდია გვეჩვენებინა ყველაფერი, რისი უნარიც შეგვწევს. წინ ჯერ კიდევ ბევრი საპასუხისმგებლო შეხვედრაა, რომელთაგან მთავარი იქნება მსოფლიოს 1966 წლის ჩემპიონატი დორტმუნდში (გფრ).

— ამ საპასუხისმგებლო შეჯიბრებაში ჩვენ ახალგაზრდა გუნდი გამოვიყვანეთ, — განაცხადა მურატოვმა. — ვაჟები საშუალოდ ორით, ხოლო ქალები სამი წლით არიან იაპონიის ტანმოვარჯიშეებზე უფრო ახალგაზრდები. მათთვის სასარგებლო იყო ასეთი მატჩის „დენთი" ეყნოსათ.

წაგებისა არ გვეშინოდა, რადგან ჩვენი მთავარი ამოცანა იყო დებიუტანტებისათვის გვესწავლებინა ტიტულოვნებთან უშიშარი ასპარეზობა. და მათ ამ ამოცანას სავსებით გაართვეს თავი.

იაპონელმა სპორტსმენებმა გამარჯვება მინიმალური ანგარიშით „დაგვითმეს" და ეს მათს ძალაზე მეტყველებს, რაც ჩვენ გვავალდებულებს დაუღალავად ვიმუშაოთ ვარჯიშთა სრულყოფაზე. სტუმრების ქალთა გუნდი გაცილებით უკეთესი ჩანდა, ვიდრე უკანასკნელ ოლიმპიურ თამაშებში. ამიტომაც ჩვენი გოგონების გამარჯვება უფრო საპატიოა.

ორივე გუნდის პულსი ნორმალურია, — თქვა დასასრულ მურატოვმა. — ეს კი იმას მეტყველებს, რომ ჩვენი მომდევნო ორთაბრძოლები ასევე მძაფრად და საინტერესოდ წარიმართება.

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

საქართველოს მძლეოსნობის ფედერაცია და გაზეთ „ლელოს" რედაქციის კოლექტივი იუწყებიან სპორტის დამსახურებული ოსტატის ი. გოკიელის დედის

მადლენა ლევანის ასულ გოკიელის

გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.



გაზეთის მკითხველთა საყურადღებოდ!

ჩვენს გაზეთზე ხელმოწერა შეუზღუდავია, მაგრამ გაზეთის დაუბრკოლებლად მიღებისთვის სასურველია მისი დროულად გამოწერა. გაზეთი რომ 1966 წლის იანვრიდან მიიღოთ, ამისთვის ხელმოწერა უნდა გააფორმოთ 24 ნოემბრამდე (ჩათვლით). ამ დღის შემდეგ გამოწერილ გაზეთს მიიღებთ მხოლოდ 1 თებერვლიდან.

ახალი წლიდან გაზეთი „სოიუზპეჩატის" ჯიხურებში შეზღუდული რაოდენობით გაიყიდება.

ხელმოწერის პირობებია: 1 წლით — 7 მან., 80 კაპ. 6 თვით — 3 მან., 90 კაპ.

24—28 ოქტომბერი

თბილისში გაიმართება საერთაშორისო შეჯიბრება თანამედროვე ხუთჭიდში.

ასპარეზობაში მონაწილეობენ ბულგარეთის, გფრ-ის, უნგრეთის, საბჭოთა არმიის ცენტრალური სპორტული კლუბის, „დინამოსა" და პროფკავშირთა ოლიმპიური გუნდები, აგრეთვე სომხეთისა და საქართველოს ნაკრები კოლექტივები.

შეჯიბრების პროგრამა ასეთია:

24 ოქტომბერი. 11 ს. ცხენოსნური კროსი. დელისის იპოდრომი.
25 ოქტომბერი. 11 ს. ფარიკაობა. ფიზკულტურის ინსტიტუტი.
26 ოქტომბერი. 12 ს. სროლა. ავჭალის სასროლეთი.
27 ოქტომბერი. 18 ს. ცურვა. ზამთრის საცურაო აუზი (ვაკეში).
28 ოქტომბერი. 13 ს. მძლეოსნური კროსი. კუს ტბა.

ИНДЕКС 66448 საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი, თბილისი, ლენინის ქ. № 14. უე 05682